



სოლ ბელოუ

ჰენდერსონი,
წვიმის მეფე

ამერიკელი | დიდი ბიზნესი

სოლ ბელოუ
ჰენდერსონი, წვიმის მეფე

Saul Bellow
HENDERSON THE RAIN KING



Funded through the Book Translation Program,
U.S. Embassy in Georgia.

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს
წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში.



მთარგმნელი ლელა დუმბაძე
რედაქტორი ანა ჭაბაშვილი

სერიის დიზაინერი ბესიკ დანელია
დიზაინერი ნინო გურული

© 1958, 1959, 1974 The Estate of Saul Bellow
Copyright renewed © 1986, 1987 The Estate of Saul Bellow
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2014
ყველა უფლება დაცულია.

ISSN 2233-3789

ISBN 978-9941-11-444-1

www.diogene.ge

სოლ ბელოუ (1915-2005) უილიამ ფოლკნერის შემდეგ უმნიშვნელოვანეს ამერიკულ რომანისტად ითვლება. „ჰენდერსონი, წვიმის მეფე“ – ნობელიანტი მწერლის მეხუთე რომანი – 1959 წელს გამოიცა. წიგნის მთავარი გმირი, ჯინ ჰენდერსონი კონექტიკუტელი მილიონერია, რომელიც ერთ დღესაც გადაწყვეტს, რომ ცხოვრებაში რალაცების შეცვლის დრო დამდგარა და აფრიკაში მიემგზავრება: „როცა ვისხენებ, რა მდგომარეობაში ვიყავი, ორმოცდათხუთმეტი წლისამ ბილეთის ყიდვა რომ გადავწყვიტე აფრიკაში წასასვლელად, მარტო დარდი და გულისტკივილი მაგონდება. შემომანვება მოგონებები და სულს მიხუთავს. არეულად მახსენდება ყველაფერი ერთად – ჩემი მშობლები, ჩემი ცოლები, ჩემი საყვარლები, ჩემი შვილები, ჩემი ფერმა, ჩემი ცხოველები, ჩემი ჩვევები, ჩემი ფული, ჩემი მუსიკის გაკვეთილები, ჩემი ლოთობა, ჩემი ახირებები, ჩემი სისასტიკე, ჩემი სახე, ჩემი სული! ერთადერთი ისლა დამრჩენია, ვიღრიალო – არა, არა, მომწყდით თავიდან, მარტო დამტოვეთ!“

ჩემს ვაჟს, გრეგორის

I

რამ მაიძულა აფრიკაში წასვლა? ამას ორი სიტყვით ვერ ახსნის კაცი. საქმე ცუდად წამივიდა; ერთ გაუგებრობას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და, ბოლოს ყველაფერი ამერ-დამერია.

როცა ვიხსენებ, რა მდგომარეობაში ვიყავი, ორმოცდათხუთმეტი წლისამ ბილეთის ყიდვა რომ გადავწყვიტე აფრიკაში წასასვლელად, მარტო დარდი და გულისტკივილი მაგონდება. შემომანვება მოგონებები და სულს მიხუთავს. არეულად მახსენდება ყველაფერი ერთად – ჩემი მშობლები, ჩემი ცოლები, ჩემი საყვარლები, ჩემი შვილები, ჩემი ფერმა, ჩემი ცხოველები, ჩემი ჩვევები, ჩემი ფული, ჩემი მუსიკის გაკვეთილები, ჩემი ლოთობა, ჩემი ახირებები, ჩემი სისასტიკე, ჩემი სახე, ჩემი სული! ერთადერთი ისლა დამრჩენია, ვიღრიალო – არა, არა, მომწყდით თავიდან, მარტო დამტოვეთ! მაგრამ აბა რანაირად უნდა დამტოვონ მარტო? ეს ყველაფერი ხომ ჩემია. მე მეკუთვნის. ჰოდა, ასე მიტევენ და მიტევენ ყოველი მხრიდან და იქმნება ქაოსი.

მაგრამ სამყარომ, საშინელი დესპოტი რომ მეგონა, ბოლოს დამინდო და თავს რისხვა აღარ დამატეხა. თუმცა, რაკი

ახლა განვიზრახე, ადამიანებს ადამიანურ ენაზე გიამბოთ, რატომ წავედი აფრიკაში, ფაქტებისთვის თვალის გასწორებაც მომიწევს. რა იქნება, ფულით რომ დავინყო? მე ხომ მდიდარი კაცი ვარ. მამაჩემისგან ანდერძად მერგო სამი მილიონი დოლარი (საშემოსავლოს გადახდის მერე), მაგრამ თავი ვიგინდარად მიმაჩნდა და საამისო მიზეზებიც საკმაოდ მქონდა, მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ სწორედ ასე ვიქცეოდი. ოღონდ გამოგიტყდებით, როცა ძალიან მიჭირდა, ხშირად წიგნებს მივმართავდი, რომ რამე ბრძნულ გამონათქვამში მეპოვა ხსნა, და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც გადავანყდი რალაც საინტერესოს. აი, რა წავიკითხე: „ცოდვების მიტევება მარადიულია და უცოდველობა, უწინარეს ყოვლისა, არავის მოეთხოვება“. ამან ჩემზე ისე ძლიერ იმოქმედა, რომ ოთახში ბოლთის ცემა დავინყე და თან განუწყვეტილ ვიმეორებდი ამ სიტყვებს გულში. მაგრამ მერე ველარაფრით გავიხსენე, მამაჩემის დანატოვარი ბიბლიოთეკიდან რომელ წიგნში ამოვიკითხე ეს სიბრძნე; ბიბლიოთეკიდან, სადაც, სხვათა შორის, ათასობით წიგნიდან რამდენიმეს ავტორი თავად მამაჩემი გახლდათ. ჰოდა, მივადექი ამ ბიბლიოთეკას და ათობით ტომი გადავფურცლე, მაგრამ ერთადერთი, რაც იქ ვიპოვე, ფული იყო, იმიტომ, რომ მამაჩემი ქალაქის ფულს წიგნის სანიშნეებად იყენებდა – სულერთია, რა ედო იმ წამს ჯიბეში – ხუთდოლარიანი, ათდოლარიანი თუ ოცდოლარიანი. სხვათა შორის, რამდენიმე ვადაგასულ ბანკნოტსაც გადავანყდი, ოცდაათი წლის წინ რომ ამოიღეს ხმარებიდან, მსხვილ ყვითელ ბანკნოტებს. ნარსულის გახსენება მესიამოვნა და ბიბლიოთეკის კარი ჩავკეტე, რომ ბავშვებს არ შეეშალათ ხელი და მთელი ნაშუადღევი კიბეზე ჩამომჯდარმა გავატარე – ვფერთხავდი წიგნებს და ფული ფრიალ-ფრიალით ცვიოდა იატაკ-

ზე. მაგრამ მიტევებასთან დაკავშირებული ის გამონათქვამი ველარსად ვნახე.

დროა გადავიდეთ შემდეგ საკითხზე: მე „სუროს ლიგის“ ერთ-ერთი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გახლავართ (ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა ჩავაგდო ჩემი ალმა მატერი უხერხულ მდგომარეობაში მისი აქ უფრო ზუსტად დასახელე-ბით). მე რომ ჰენდერსონი და მამაჩემის შვილი არ ვყოფილიყავი, უეჭველად გამრიცხავდნენ. დედაჩემს მშობიარობა გაურ-თულდა, ახალშობილი თოთხმეტ გირვანქას ვინონიდი. მერე ექვსი ფუტი გავიზარდე სიმაღლეში. ორას ოცდაათი გირვანქა ვიყავი. თავი უშველებელი მქონდა, კრაველის ბენვივით ჯაგა-რა; თვალები – ეჭვიანი, როგორც წესი, მოჭუტული. ხასიათი შარიანი. ცხვირი ვეება. სამი შვილიდან ერთადერთი მე გა-დავრჩი ცოცხალი. მამაჩემს წარმოუდგენელი სულგრძელობის მოხმობა დასჭირდა ჩემთვის ამის საპატიებლად და, მე მგონი, ვერც მაპატია ბოლომდე. როცა ცოლის შერთვის დრო დადგა, შევეცადე, მამასთვის მესიამოვნებინა და საცოლედ ჩვენივე სოციალური კლასის წარმომადგენელი შევარჩიე. შესანიშნავი ადამიანი, ლამაზი, მაღალი, ელეგანტური, ჯანსაღი ქალიშვი-ლი, გრძელმკლავებიანი, ოქროსფერთმიანი, ინტიმური, გამ-რავლების უნარით დაჯილდოებული და, ამასთანავე, მშვიდი. თუმცა მისი ოჯახის ვერც ერთი წევრი ვერ შემედავება, თუ დავძენ, რომ შიზოფრენიკია, რადგან მართლაც ასეა. ისე, მეც შეშლილად მრაცხენ და სავსებით სამართლიანადაც – ერთი ახირებული, მუტრუკი, დესპოტი და, ალბათ, არანორმალური კაცი ვარ. შვილების ასაკით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ მე და ფრენსისმა დაახლოებით ოცი წელი გავატარეთ ქორწი-ნებაში. ედვარდი, რაისი, ელისი და კიდევ ორი – უფალო იე-სო! უამრავი შვილი მყავს. ღმერთმა დალოცოს ყველა ერთად.

ძალიან ბევრს ვმუშაობდი, როგორც შემეძლო. ფიზიკური შრომა წარმოუდგენელი ტანჯვაა და ხშირად ნაშუადღევამდე ვიღებოდი. ომიდან რომ დავბრუნდი (სამხედრო სამსახური ასაკით აღარ მეკუთვნოდა, მაგრამ ჩემი შეკავება ვერავინ შეძლო; ჩავედი ვაშინგტონში და იმდენი ვქენი, რომ ბრძოლის ხაზზე გასვლის ნება მოვიპოვე) მე და ფრენსისი ერთმანეთს გავშორდით. ეს ომში გამარჯვების დღის მერე მოხდა. ან იქნებ ცოტა უფრო მოგვიანებით? ჰო, ალბათ, 1948 წელს. ასეა თუ ისე, ფრენსისი ახლა შვეიცარიაშია ჩვენს ერთ-ერთ შვილთან ერთად. ვერ გეტყვით, ბავშვს რას ერჩის, მაგრამ თან კი წაიყვანა, და მეც არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. ბედნიერებას ვუსურვებ.

აღტაცებული ვიყავი განქორწინებით. ჩემს ცხოვრებას ახალი აზრი მიეცა. საცოლე უკვე შერჩეული მყავდა და მალე ვიქორწინებ კიდევ. ჩემს მეორე ცოლს ლილი ჰქვია (ქალიშვილობის გვარია სიმონსი). ტყუპი ბიჭი გვყავს.

ახლა ისევ არეულად მახსენდება ყველაფერი – ლილი საშინელ დღეში ჩავაგდე – უარესში, ვიდრე ფრენსისი. ფრენსისი საკუთარ თავში იყო ჩაკეტილი და ეს შველოდა, მაგრამ ლილის ყველაფერი გულთან ახლოს მიჰქონდა. არ ვიცი, იქნება ჩემზე უკეთესობისკენ ცვლილებამ იმოქმედა ასე; მე ხომ საძაგელ ცხოვრებას ვიყავი ჩვეული. როცა ფრენსისს არ მოსწონდა, რასაც ვაკეთებდი, რაც საკმაოდ ხშირად ხდებოდა, ზურგს შემაქცევდა ხოლმე. ფრენსისი შელის მთვარეს ჰგავდა, მარტოსული მოხეტიალე. ლილი კი სხვანაირი იყო. ვულრიალებდი ხოლმე ყველას დასანახად და მარტო დარჩენილს უშვერი სიტყვებით ვაგინებდი. ჩემი ფერმის ახლომახლო სოფლის ბარებში წარამარა შარში ვეხვეოდი და პოლიციელები მაკავებდნენ ხოლმე. მეც ვეუბნებოდი, ხომ არ გინ-